„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების დანართი, რომლებშიც უნდა განხორციელდეს ცვლილებები

თავი II

საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებები საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში

მუხლი 10. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება

საქართველოს პრეზიდენტი:

ა) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

ბ) გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

გ) ამტკიცებს ეროვნული რეაგირების გეგმას და სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს.

მუხლი 11. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება

საქართველოს მთავრობა:

ა) აკონტროლებს სამინისტროთა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა საქმიანობას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

ბ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას და შეიმუშავებს სამთავრობო პროგრამას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

გ) უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

დ) გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

ე) საგანგებო სიტუაციის დროს ქვეყნის თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იღებს აუცილებელ ზომებს;

ვ) ორგანიზებას უწევს ქალაქებისა და ეკონომიკის ობიექტების სამოქალაქო თავდაცვის თანახმად პოტენციური საშიშროების ხარისხის, ადმინისტრაციულ-სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობების კატეგორიებად დაყოფას;

ზ) ქმნის საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიას, რომელიც არის ერთიანი სისტემის კოორდინატორი;

თ) ამტკიცებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის დებულებას.

მუხლი 27. საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანონის
რეგულირების სფეროში გამოსაცემი ნორმატიული
აქტები *(31.07.2009 N 1566)*

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში გამოსცეს დადგენილებები:

ა) საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

2. საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს დადგენილებები:

ა) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ;

ბ) უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.